ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N109

ქ. თბილისი

06.12.2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ფრანი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ნიკოლოზ ფიროსმანიშვილის სახით, ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია A4 ზომის ბროშურების (CPV - 22150000) სახელმწიფო შესყიდვა.
3.2. შესყიდვის ობიექტია:

	დასახელება და მახასიათებლები	რაოდ.	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ბროშურა (ზომა:A4) ქაღალდი: შიგთავსი,115 გრ ცარცი, ყდა 300გრ ცარცი. გვერდების რაოდენობა 48 ყდის ჩათვლით, ინგლისური (ციფრული ბეჭდვა), ლოგო ცხელი ბეჭდვით ორ ფერში.	50ც	31.00	1550.00
2	ბროშურა (ზომა:A4) ქაღალდი: შიგთავსი,115 გრ ცარცი, ყდა 300გრ ცარცი. გვერდების რაოდენობა 48 ყდის ჩათვლით, ქართული (ოფსეტური ბეჭდვა), ლოგო ცხელი ბეჭდვით ორ ფერში.	320ც	8.15	2608.00

3.2. თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი, თუ ის შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4158.00 (ოთხი ათას ას ორმოცდათვრამეტი) ლარს, დღგ-ს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი მარიანა გამჯაშვილი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილია შემსყიდველის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი - ზვიადი ძაბირაძე.

7. მიწოდების ვადა, დრო და ადგილი

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული 50 ცალი ინგლისურენოვანი ბროშურა არაუგვიანეს 2017 წლის 11 დეკემბრისა, ხოლო 320 ცალი ქართულენოვანი ბროშურა - არაუგვიანეს 2017 წლის 20 დეკემბრისა.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების N32 ან ქ.თბილისი, ჭონქაძის 10ა, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად (სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საწყობი).

8. ანგარიშსწორების წესი

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
9.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მის საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.
9.4. დაფინანსების წყარო: 2017 წლის **საკუთარი შემოსავლები.**

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;

10.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ასევე შემსყიდველის მიერ ცალმხრივად, თუ მიწოდება არ განხორციელდა 2017 წლის 28 დეკემბრამდე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

12.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

12.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე,შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 %-ს.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

13.4. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველის მიერ ხელშკრულების შეწყვეტის, ასევე მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15.დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #32

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ფრანი"
ს/კ 401947293
მის: ქ.თბილისი, აბუსერიძე-ტბელის 15
სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE83TB7563136020100001
ტ: 599 51 88 12

ნიკოლოზ ფიროსმანიშვილი
დირექტორი

ხელწერილი

06.12.2017წ

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, A4 ზომის ბროშურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
გიორგი კაკაურიძე	
მარიანა გამჯაშვილი	
ზვიად ძაბირაძე	
ნაილი კბილაძე	